დამტკიცებულია
რექტორის 2020 წლის 15 სექტემბრის №518 ბრძანებით

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ერთიანი ღონისძიებების გეგმა

1. შპს-საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს (შემდგომში-სეუ) შენობების (შემოსასვლელები: წინანდლის ქუჩიდან, ახალ კამპუსში - ეზოდან) შესასვლელებში განთავსებული უნდა იყოს დეზობარიერები, გამოყენების შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით და გაჯერებული შესაბამისი სადეზინფექციო სითხით.

2. შენობაში შესასვლელად სავალდებულოა შემდეგი პროცედურების გავლა:

- შენობაში შემომსვლელს უნდა ეკეთოს პირბადე;
- შემომსვლელი დგება დეზობარიერზე;
- ამოდის კიბეზე და გადის თერმოსკრინინგს (სიცხის გაზომვა);
- მიდის და იმუშავებთ ხელებს ანტისანიტაიზერის მეშვეობით.

3. სეუ-ში სტუდენტთა, თანამშრომელთა (ადმინისტრაციული, დამხმარე, აკადემიური და მოწვეული პერსონალი) და სხვა პირთა დაშვება/ნაკადის კონტროლი უნდა განხორციელდეს უსაფრთხო დისტანციის დაცვით. დისტანცირების სანიმუშოდ უნდა მოეწყოს სპეციალური მანიშნებლები.

4. შენობების შესასვლელებში და საერთო სარგებლობის სხვა სივრცეებში უნდა განთავსდეს ხელის სადეზინფექციო საშუალებები. უზრუნველყოფილი უნდა იყოს პირბადეების რეზერვის არსებობა.

5. თანამშრომლები, სტუდენტები და სხვა პირები სეუ-ში დაიშვებიან მხოლოდ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ნიღბები, საჭიროების შემთხვევაში სახის ფარები/ დამცავი სათვალეები, ხელთათმანი, საჭიროების შემთხვევაში ბახილები)

6. შენობების შესასვლელებში თანამშრომლების, სტუდენტებისა და სხვა პირებისთვის ყოველდღიურად უნდა განხორციელდეს თერმოსკრინინგი, რათა გააკონტროლოთ, სტუდენტების, ყველა თანამშრომლისა და ვიზიტორის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ტემპერატურის გაზომვით.

7. პირი, რომელიც ატარებს თერმოსკრინინგს, ვალდებულია ეკეთოს პირბადე და იცავდეს არანაკლებ 1 მეტრიან დისტანციას.

8. სხეულის ტემპერატურის შემოწმება (თერმოსკრინინგი) უნდა განხორციელდეს დისტანციური თერმომეტრის გამოყენებით. თერმომეტრის დაზიანების შემთხვევაში ადგილზე უნდა იყოს მეორე დისტანციური თერმომეტრი.

9. თერმოსკრინინგისას ცხელების - 37°C ან 37°C-ზე მეტი ტემპერატურის დაფიქსირების შემთხვევაში, უნდა მოხდეს პირის ტემპერატურის გადამოწმება ვერცხლისწყლის თერმომეტრით 15 წუთიან შუალედში, მოსაცდელ სივრცეში (ვერცხლისწყლის თერმომეტრი სავალდებულოა დამუშავდეს სადეზინფექციო ხსნარით ყოველი გამოყენების შემდეგ).

10. ტემპერატურის გადამოწმების შემდეგ 37°C ან 37°C-ზე მეტი ტემპერატურის დადასტურების შემთხვევაში:

ა) პირი არ დაიშვება დაწესებულებაში და ვალდებულია მიმართოს ოჯახის ექიმს;

ბ) სტუდენტის/თანამშრომლის დროებითი დაყოვნება (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) უნდა მოხდეს საიზოლაციო ოთახში;

გ) საჭიროების დროს უნდა მოხდეს დაკავშირება 112-თან შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად, გადამისამართების მიზნით;

დ) დაფიქსირებული ცხელების შემთხვევები უნდა აღირიცხოს შესაბამის ფორმაში.

11. სტუდენტებისა და თანამშრომლების ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის მიზნით, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირება.
12. ცხელების/რესპირატორული სიმპტომების დაფიქსირების შემთხვევისთვის გამოიყოს სპეციალური საიზოლაციო ოთახი, სადაც მოხდება პირის დროებითი დაყოვნება საჭიროების შემთხვევაში, მათ შორის, სასწრაფო დახმარების მოსვლამდე.
13. საიზოლაციო მიზნებისთვის გამოყენებული ოთახი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
ა) უზრუნველყოფილი იყოს ოპტიმალური ბუნებრივი ვენტილაციით;
ბ) აღჭურვილი იყოს დასაჯდომი/მოსასვენებელი საშუალებებით (სკამი/სავარძელი/ტახტი);
გ) ხელმისაწვდომი უნდა იყოს ხელის ჰიგიენის საშუალებები: ხელსაბანი, ნიჟარა და თხევადი საპონი, ან ხელის სანიტაიზერი;
დ) ყოველი გამოყენების შემთხვევაში საიზოლაციო ოთახი უნდა დამუშავდეს სველი წესით.
14. უნდა განხორციელდეს საერთო სამუშაო და სასწავლო ფართის ყოველდღიური დეზინფექცია. სახელურების, ლიფტის ღილაკების, მოაჯირების, კარების სახელურების და ხშირად გამოყენებული ზედაპირების სანიტარული დამუშავება უნდა განხორციელდეს პერიოდულად (2 საათიანი ინტერვალებით).
15. სამუშაო ადგილებზე უნდა განთავსდეს ხშირად შეხებადი ზედაპირების დასამუშავებელი სადეზინფექციო საშუალებები და უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მათი სწორად მოხმარების პრაქტიკა (შესაბამისი წესების შემუშავება და თანამშრომლების/სტუდენტების ინფორმირება/ ტრენირება).
16. სასწავლო აუდიტორიები, ადმინისტრაციული სათავსები და საერთო სარგებლობის ფართები უნდა აღიჭურვოს გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის განკუთვნილი კონტეინერებით (დახურული კონტეინერებით, სატერფულით გახსნის შესაძლებლობით), რომლებშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პოლიეთილენის პარკი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა უნდა მოხდეს ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით და უზრუნველყოფილი უნდა იყოს ასეთი ნარჩენების დროული გატანა.
17. სველი წერტილების დასუფთავება უნდა განხორციელდეს ინტენსიურად, ამასათანავე, პერიოდულად უნდა მოხდეს მათი დეზინფექცია. სველი წერტილები უზრუნველყოფილ უნდა იქნეს თხევადი საპნითა და ხელის გასამშრალებელი ერთჯერადი ხელსახოცებით.
18. დახურულ სივრცეებში პერიოდულად, დღეში რამდენჯერმე, უნდა განხორციელდეს ბუნებრივი ვენტილაცია. ხელოვნური ვენტილაციის არსებობის შემთხვევაში, უნდა მოხდეს გარე სივრციდან ჰაერის შემოტანა გაზრდილი კონცენტრაციით, ცირკულაციითა და გარეთ გატანით, ასევე უნდა განხორციელდეს საინჟინრო კონტროლი მის გამართულ მუშაობაზე.
19. თვალსაჩინო ადგილას უნდა გამოიკრას ინფორმაცია COVID-19 ვირუსთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ, ხოლო სველ წერტილებში - ხელის დაბანის ინსტრუქციები. მიზანშეწონილია, დამლაგებლები აღჭურვილნი იყვნენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.
20. სავალდებულო დისტანცია საგანმანათლებლო პროცესის დროს დახურულ და ღია სივრცეებში:
ა) სასწავლო აუდიტორიებში მაგიდების/მერხების განლაგება, მიზანშეწონილია, მოხდეს იმგვარად, რომ სტუდენტები არ ისხდნენ ერთმანეთის პირისპირ და მათ (სტუდენტებს) შორის უზრუნველყოფილი იყოს „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის No322 დადგენილებით განსაზღვრული დისტანციის დაცვა;
ბ) მაგიდების პირისპირ განლაგების აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მაგიდებს შორის არანაკლებ 2 მ-იანი დისტანცია;

გ) ლექციის/სემინარის დროს აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს (როგორც სპიკერს) უნდა ეკეთოს პირბადე იმ შემთხვევაში, თუ მაგიდები განლაგებულია იმგვარად, რომ მასსა და სტუდენტებს შორის შეუძლებელია 2 მეტრიანი დისტანციის დაცვა.

დ) ამ წესის საილუსტრაციოდ, სასწავლო აუდიტორიებში აუცილებელია შესაბამისი სტიკერებით მოინიშნოს უსაფრთხო დისტანციის განმსაზღვრელი ადგილები.

21. ვალდებულებები სასწავლო სივრცეებისთვის:

ა) აკადემიური და მოწვეული პერსონალი (შემდგომში - ლექტორები) სამუშაო ადგილას უნდა გამოცხადნენ წინასწარ შედგენილი ცხრილის მიხედვით;

ბ) ლექტორები და სტუდენტები მაგიდებთან არ უნდა განთავსდნენ ერთმანეთის პირისპირ;

გ) ინტენსიურად უნდა იქნას გამოყენებული ბუნებრივი ვენტილაცია;

დ) უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სამუშაო ადგილზე ხელის პერიოდული დეზინფექციისთვის საჭირო სულ მცირე 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ხსნარის განთავსება;

ე) ლექტორები და სტუდენტები, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, სამუშაო სივრცეში არ დაიშვებიან აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალების გარეშე, მათ შორის: ნიღაბი, ხელთათმანი, სახის დამცავი ფარი, საჭიროების შემთხვევაში - ბახილები, სპეც. ტანსაცმელი/ ხალათი;

ვ) უზრუნველყოფილ უნდა იქნეს გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა მოახდინეთ ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. უზრუნველყავით ასეთი ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ.

22. რეკომენდაციები მედიცინის ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის კლინიკური დისციპლინების სწავლებისათვის:

ა) სტაციონარულ და ამბულატორიულ სამედიცინო დაწესებულებებში პრაქტიკული სწავლებისას უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სტუდენტთა ნაკადის დაყოფა ისე, რომ გამოირიცხოს მათი კრიტიკული რაოდენობის თავშეყრა კლინიკურ სივრცეში. ერთდროულად დასაშვები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა კლინიკური სივრცის სპეციფიკისგან დამოკიდებულებით განისაზღვრება კონკრეტული სამედიცინო დაწესებულების ინფექციის კონტროლზე პასუხისმგებელ პირთან/ეპიდემიოლოგთან შეთანხმებით;

ბ) კლინიკურ დისციპლინებში პრაქტიკული მეცადინეობებისას ასევე გათვალისწინებულ უნდა იყოს კლინიკაში არსებული და სახელმწიფოს მხრიდან დაწესებული წესები და შეზღუდვები, რაც შესაძლოა შეეხებოდეს დამატებითი უსაფრთხოების ღონისძიებების გატარებას სხვადასხვა რისკის პირობებში (მათ შორის, რისკის ზონების შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებისა და უსაფრთხოების ღონისძიებებისადმი განსაზღვრული მოთხოვნები).

23. ვალდებულებები საგამოცდო ცენტრებისთვის:

ა) მაგიდების განლაგებისას მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული სტუდენტებს შორის 2მ დისტანციის შესაძლებლობა;

ბ) საგამოცდო ცენტრში დამკვირვებლები, ლექტორები და სტუდენტები არ დაუშვათ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე;

გ) სტუდენტები მაგიდებთან არ განათავსოთ ერთმანეთის პირისპირ;

დ) საგამოცდო ცენტრში სტუდენტების მისაღებად გამოყენებულ უნდა იქნას ცვლებში მუშაობის რეჟიმი;

ე) ყოველი ცვლის შემდგომ სავალდებულოა სანიტარული შესვენების გამოყენება;

ვ) საგამოცდო ცენტრის/დარბაზის შესასვლელში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ხელის დეზინფექციისთვის საჭირო სულ მცირე 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ხსნარის განთავსება;

ზ) გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის უნდა განთავსდეს დახურული კონტეინერები, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა უყნდა მოხდეს ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ასეთი ნარჩენების დროული გატანა.

24. თანამშრომლეთა და სტუდენტთა ვალდებულებები:

ა) თანამშრომლებმა და სტუდენტებმა, სეუ-ს შენობებში შესვლისთანავე უნდა დაიმუშაონ ხელები სპეციალური სადეზინფექციო საშუალებით, სათანადო ინსტრუქციის დაცვით (სადეზინფექციო საშუალებები განთავსებულია შენობის შესასვლელეში და ასევე, ყველა სართულზე);

ბ) შენობაში მყოფ სხვა პირებთან ურთიერთობისას სავალდებულოა ფიზიკური (2 მეტრის მანძილი) დისტანცია;

გ) ინდივიდუალური დაცვის საშუალებები უნდა იქნეს გამოყენებული სრულად. საერთო სარგებლობის სივრცეებში სავალდებულოა ნიღბის ტარება;

დ) დაიცავით ჰიგიენის წესები სეუ-ს სივრცეში;

ბ) მოახდინეთ ხელის დაბანისა და დამუშავების რეჟიმის გახშირება;

ე) ჩაიტარეთ ხელების ადეკვატური ჰიგიენა (სულ მცირე 70% სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებების გამოყენება იმ შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება ხელების დაბანა. ხილული დაბინძურების, ან ბიოლოგიური სითხეების მოხვედრისას სავალდებულოა ხელების წყლითა და საპნით დაბანა);

ვ) მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირსა და პირზე შეხებას. მუშაობის პერიოდში უზრუნველყავით თმის შეკვრა/მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება;

ზ) საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნების სრულად და უპირობოდ შესრულება.

25. სეუ-ს თანამშრომლები უნდა მოერიდნონ სხვა კოლეგების სამუშაო სივრცეში შესვლას, განსაკუთრებული ფუნქციური საჭიროების დროს დაიცავით ფიზიკური (2 მეტრის მანძილი) დისტანცია.

26. თანამშრომლებმა უნდა უზრუნველყონ საკუთარი სამუშაო სივრცის (მაგიდა, კომპიუტერი, ტელეფონი) ხშირად დასუფთავება სველი წესით.

27. თანამშრომლები არ უნდა გამოცხადნენ სამსახურში ცხელების და/ან რესპირატორული ინფექციის ნიშნების დაფიქსირების შემთხვევაში. მიზეზის გარკვევამდე, აღნიშნულმა პირმა სამსახურში გამოუცხადებლობის შესახებ ინფორმაცია უნდა მიაწოდოს სეუ-ს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, რომელიც ვალდებულია ეს ინფორმაცია დაუყოვნებლივ აცნობოს პერსონალის მართვის სამსახურის უფროსს - ნინო გვინდაძეს (ელფოსტა: nino_gvindadze@seu.edu.ge)

28. მივლინებაში გამგზავრებამდე თანამშრომლემბა უნდა გაითვალისწინონ მგზავრობის რეკომენდაციები. ფლობდნენ განახლებულ ინფორმაციას კორონა ვირუსის გავრცელების არეალის თაობაზე. თუ თანამშრომლები იმყოფებიან რისკ ჯგუფში, აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ სეუ-ს რექტორს ელფოსტა: rector@seu.edu.ge და პერსონალის მართვის სამსახურის უფროსს - ნინო გვინდაძეს (ელფოსტა: nino_gvindadze@seu.edu.ge)

29. სეუ-ს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებმა შესაძლოა საჭიროებისამებრ განსაზღვრონ დაქვემდებარებულ სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულთა მუშაობის დისტანციური განრიგი და ამის შესახებ გონივრულ დროში აცნობონ სეუ-ს რექტორს

ელფოსტა: rector@seu.edu.ge და პერსონალის მართვის სამსახურის უფროსს - ნინო გვინდაძეს (ელფოსტა: nino_gvindadze@seu.edu.ge)

30. სეუ-ში მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს სამუშაო შეხვედრები ადგილზე 10-ზე მეტი პირის მონაწილეობით. შეხვედრის გამართვისას, დაცული უნდა იყოს დამსწრეთა შორის დისტანცია (2 მეტრი) და ამასთან, ყველა პირს უნდა ეკეთოს პირბადე. მიზანშეწონილია შეხვედრების მაქსიმალურად დისტანციურ რეჟიმში ჩატარება.

31. სეუ-ს ყველა შენობებში მაქსიმალურად უნდა აიკრძალოს უცხო პირთა დაშვება, გარდა აუცილებელი/გადაუდებელი საჭიროებისა. აუცილებელი/გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში, ვიზიტორის/სტუმარის დაშვების ნებართვის („საშვის“ დაშვება) უფლება აქვს: სეუ-ს რექტორს/ ვიცე-რექტორებს.

32. სეუ-ს ყველა ვიზიტორი/სტუმარი ვალდებულია შემოსვლისთანავე დაიმუშაოს ხელები სპეციალური სადეზინფექციო საშუალებით და ეკეთოს პირბადე შენობაში ყოფნის მთელ პერიოდში.

33. განსაკუთრებულ შემთხვევაში, ვიზიტორის/სტუმრის დაშვება სეუ-ში საკონსულტაციოდ ან/და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, შესაძლებელია ასევე იმ აუცილებელი პირობით, თუ სეუ-ს საამისოდ უფლებამოსილი შესაბამისი თანამშრომელი უშუალოდ უზრუნველყოფს სტუმრის/ვიზიტორის ექსკორტირებას (შენობაში შესვლიდან შენობის დატოვებამდე, დაცვის სამსახურთან კოორდინაციით) მხოლოდ შენობის პირველ სართულზე სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში (პირადი დაცვის საშუალებების გამოყენებით, ფიზიკური დისტანციის და შენობაში ყოფნის სხვა საერთო წესების დაცვით).

34. შენობის შესასვლელში დასაშვებია არაუმეტეს 5 პირის ერთდროულად ყოფნა (გარდა განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევისა), მხოლოდ პირადი დაცვის საშუალებების გამოყენებით და დისტანციის (2 მეტრის მანძილი) წესების დაცვით.

35. სეუ-ში შემოსული ოფიციალური კორესპონდენციისთვის და თანმხლები მასალისთვის, შენობის შესასვლელში უნდა მოეწყოს სპეციალური მაგიდა, საიდანაც საქმისწარმოებისა და რეესტრის შესაბამისი თანამშრომელი პერიოდულად, სხვა პირებთან კონტაქტის გარეშე, უზრუნველყოფს კორესპონდენციის/მასალის მიღებას, დარეგისტრირებას და სათანადო წესით გადაგზავნას ადრესატებისთვის. ამავე ფოიეში, სათანადო დისტანიის დაცვით ასევე უნდა მოეწყოს მეორე მაგიდა (მხოლოდ ერთი სკამით), განცხადების დასაწერად ან სხვა დოკუმენტის შესავსებად, რომელთა დასრულების შემდგომ, ავტორმა აღნიშნული დოკუმენტები უნდა დატოვოს კორესპონდენციისთვის განკუთვნილ სპეციალურ მაგიდაზე.

36. სეუ-ს ბიბლიოთეკამ მუშაობა უნდა განახორციელოს დისტანციურად. რაც გულისხმოს იმას, რომ სტუდენტებს/თანამშრომლებს შეზღუდული უნდა ჰქონდეთ ბიბლიოთეკაში მოსვლა და ბიბლიოთეკის სივრცით (სამკითხველო დარბაზი, აუდიო ბიბლიოთეკა, სამუშაო ოთახი) სარგებლობა. ბიბლიოთეკის რესურსების სარგებლობა შესაძლებელი უნდა იქნეს მხოლოდ წინასწარი ელექტრონული შეკვეთითა და შემდგომ მკითხველისათვის მოთხოვნილი შეკვეთის ელექტრონული ფორმით მიწოდება.

37. სეუ-ს ბიბლიოთეკის მუშაობა (ადგილზე მომსახურება) შეჩერებული უნდა იქნეს იქამდე, სანამ ის არ დააკმაყოფილებს „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების № 36 დანართის მოთხოვნებს.

38. სეუ ვალდებულია სასწავლებლის ტერიტორიაზე გასაწევი ეკონომიკური საქმიანობის (კვებით მომსახურება, არაფორმალური საგანმანათლებლო მომსახურება და სხვა) განმახორციელებელ პირს მოსთხოვოს „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების მოთხოვნათა უზრუნველყოფა.

39. სეუ-ში კვების ობიექტის მუშაობა შეჩერებული უნდა იქნეს იქამდე, სანამ ის არ დააკმაყოფილებს „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონა ვირუსის (COVID- 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების №17 დანართის „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები საზოგადოებრივი კვების ობიექტებისთვის“ მოთხოვნებს. მუშაობის შეთხვევაში, კვების ობიექტის შესასვლელთან ახლოს, შიდა სივრცეში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფუნქციონირებისთვის გამართული ხელსაბანები და შესაძლებელი უნდა იყოს მომხმარებელთა რიგში დგომის დროს უსაფრთხო დისტანციის დაცვა.

40. საერთო საცხოვრებლის ფუნქციონირება შეჩერებული უნდა იქნეს იქამდე, სანამ ის არ დააკმაყოფილებს „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების №16 დანართის „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები სასტუმროებისთვის“ მოთხოვნებს.

41. სეუ-ს დასუფთავების სამსახურმა უზრუნველყოს სამუშაო სივრცის სველი წესით დალაგება/დეზინფექცია ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 მარტის №01-123/ო ბრძანების „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ შესაბამისი დანართით გათვალისწინებული წესით.

42. დასაკავშირებელი ნომრები:

- **112** - სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრი;
- **144 -** საქართველოს მთავრობის ერთიანი ცხელი ხაზი;
- **1505 -** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი;
- **116 001 -** დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;
- **(995 32) 2 200 220 -** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;
- **(995 32) 2 90 00 00 -** სეუ-ს ცხელი ხაზი.